საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000 ს/კ 204566978
95 Tsinamdzgvrishvili Street,0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000 I/C 204566978 www.silknet.com

№ SILK-08/2714-26 16/06/2026 12:13:22

შპს ინჟინერიუსი

შპს „ინჟინერიუსის“ დირექტორს
ბატონ ასლან ჯანჯღავას
ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. #6
ტელ: 557736487

ბატონო ასლან,

თქვენგან შემოსული წერილის (№ SILK-08/2668-26 15.06.2026წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის მე-2 შესახვ. #1 და #3-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.13.040.136 გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელიც წერილს თან ერთვის shp ფაილის სახით. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით:

1. შენობის სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე ორი თვით ადრე, უნდა მოგვმართოს წერილობით.
2. სამუშაოების დაწყება შესაძლებელი იქნება სს „სილქნეტის“ მიერ არსებული ქსელის, სადემონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ.
3. დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას, არაუგვიანეს სილქნეტის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გასცეს ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვა ქსელის მოწყობისთვის/დემონტაჟისთვის საჭირო სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების ან/და სილქნეტის მიერ მოწყობილი საკომუნიკაციო არხზე/ქსელზე/ელემენტზე სს „სილქნეტის“ უფლებ(ებ)ის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით;

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

1. დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
2. აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.
3. სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.
4. ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

ირაკლი აბაშიძე
ტექნიკური განვითარების და
დაგეგმარების დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე


საპროექტო ტერიტორიის
გენერალური გეგმა
მ 1:400
საზაფხულო სამკითხველო, ინფორმაციული და ჯგუფური სამუშაო სივრცე
ბოშაყარი №1
ბოშაყარი №4
ბოშაყარი №3
ბოშაყარი №2
ღობე
არსებული შენობა
საპირფარეშო
საბიბლიოთეკო სივრცე, აღმდგენი შესრულებისთვის,
პრეზენტაციებისთვის
ღობე
ღობე
წასახვევებელი სივრცეებამდე
ხეივანი
სარდაფი
არსებული შენობა
საბიბლიოთეკო სივრცე
ბაღში და მდგარდია სივრცე
ბოშაყარი №3
ღობე
სამბაშო
მეზობანი
ბიბლიოთეკის თანამშრომლების სივრცე
ქაფქაფებია
ღობე
მცენარეთა და
გამოფენებისთვის ბაღი
ბოშაყარი №3
ღობე
ბოშაყარი №3
სხია იმანი ზაჰახრშნილის სახელობის თბილისის სახელმწიფო შენობისტების
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიზეს არსებითი გაუმჯობესება
ინჟინერიუსი
ENGINEERIUS
ბენერალური გეგმა
ა-1
2022
სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყებამდე ნინ გამოკასხვ
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 9
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 16.06.2566

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-131180-26
01 / 06 / 2026

შპს „ინჟინერიუსი“-ს დირექტორს
ასლან ჯანჯღავას

ბატონო ასლან,

თქვენი მიმდინარე წლის 18 მაისის №02-13-131180-26 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №3, №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.13.040.136) ტერიტორიის კეთილმოწყობის და ღობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს ნაკვეთის გაზმომარაგებისათვის განკუთვნილი მიწისზედა და მიწისქვეშა მკვებავი **D=50 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები. ასევე, კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით ნაკვეთის მიჯნაზე ფიქსირდება შპს „თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი მიწისქვეშა **D=110 მმ-იანი,** სიახლოვეს გადის მიწისქვეშა **D=63 მმ-იანი** და მიწისზედა **D=80 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოების ნებართვა შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს თქვენს მიერ წარმოდგენილი და შპს „თბილისი ენერჯი“-ს მიერ შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად (შეზღუდვა მიწისქვეშა **D=63 მმ-იანი, D=110 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე **4 (ოთხი)** მეტრი, ღობემდე **1 (ერთი)** მეტრი);
- მიწის ნაკვეთზე და მის სიახლოვეს არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა გაზსადენებთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.

აქვე გაცნობებთ, რომ ნაკვეთზე არსებული მკვებავი გაზსადენების დემონტაჟი/დროებით გაუქმება შესაძლებელია დაინტერესებული პირის (აბონენტის) განცხადებით მომართვისა და შესასრულებელი სამუშაოების თანხის ანაზღაურების შემთხვევაში.

სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე, გაზსადენის აღმოჩენის შემთხვევაში, საჭიროა შეაჩეროთ სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოთ შპს „თბილისი ენერჯი“-ს.

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით შპს „თბილისი ენერჯი“-ს ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა
მ 1:500



პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო ღობე
- არსებული ღობის შენარჩუნება

შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-13-131180-26
01 / 06 2026 წ.

შეადგინა	ა.ჯანჯღავა		სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეზოს არსებითი გაუმჯობესება
შეამოწმა	ლ.მელქაძე		
			საპროექტო ტერიტორიის (ს.კ.:01.10.13.040.136) კეთილმოწყობის გენერალური გეგმა — კ-1 — 2026

ENGINEERIUS

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-250717-25
13 / 10 / 2025

შპს „ინჟინერიუსი“-ს დირექტორს
ასლან ჯანჯღავას

ბატონო ასლან,

თქვენი მიმდინარე წლის 29 სექტემბრის №02-13-250717-25 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №3, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.10.13.040.136) ტერიტორიის კეთილმოწყობის და ღობის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს ნაკვეთის გაზმომარაგებისათვის განკუთვნილი მიწისზედა და მიწისქვეშა მკვებავი **D=50 მმ-იანი,** ასევე, კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით ნაკვეთის მიჯნაზე ფიქსირდება შპს ‘’თბილისი ენერჯი’’-ს კუთვნილი მიწისქვეშა **D=110 მმ-იანი,** სიახლოვეს მიწისქვეშა **D=63 მმ-იანი** და მიწისზედა **D=80 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები (იხ. დანართი-სქემატური ნახაზი).

დაგეგმილი სამუშაოების შესათანხმებლად აუცილებელია წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის გენგეგმა შემდეგი მოთხოვნის გათვალისწინებით:

- ელექტრონული DWG-ფაილის სახით UTM-WGS-1984 წლის პროექციაში და დეტალური PDF-ვერსია, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი, კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით (შეზღუდვა მიწისქვეშა **D=110 მმ-იანი** და **D=63 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენის ღერძიდან ასაშენებელ ღობემდე **1 (ერთი)** მეტრი, შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე **4 (ოთხი)** მეტრი).

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ გენგეგმაზე არ არის დატანილი მანძილები მიწისქვეშა გაზსადენიდან საძირკვლამდე.

დამატებით გაცნობებთ, რომ ნაკვეთზე არსებული მკვებავი გაზსადენების დემონტაჟი/დროებით გაუქმება შესაძლებელია დაინტერესებული პირის (აბონენტის) განცხადებით მომართვისა და შესასრულებელი სამუშაოების თანხის ანაზღაურების შემთხვევაში.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

საფუძველი: 1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესები და СНиП 2.04.08-87*. 2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის დადგენილება №101 (გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე).

1:500

481820 481840 481860 481880 481900 481920 481940 481960 481980 482000

4618300 4618280 4618260 4618240 4618220 4618200 4618180

d=80

d=110pl

D=50 PE

D=50

d=63pl

d=50

d=50

01.10.13.040.136

N W E S

პირობითი აღნიშვნები

შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი

შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი

მიწის ნაკვეთი

4 მეტრიანი შეზღუდვის ზონა

© Open

თბილისი ენერჯი TBILISI ENERGY

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0186 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

08.05.2025
N25-495/ა.ლ

შპს „ინჟინერიუსი“-ს დირექტორს
ბ-ნ ასლან ჯანჯღავას
მის: ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქუჩა №6
ტელ: 557 736 487
ელ. ფოსტა: engineerius.info@gmail.com

თქვენი 01.05.2025 წლის №0105-25-4 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №3; მერაბ ალექსიძის II შესახვევი №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.040.136) გადის შპს „ახალი ქსელები''-ს ხაზოვანი ნაგებობა.

შპს „ახალი ქსელები'' არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით, ასევე არ დაზიანდება ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები. აუცილებელია, აღნიშნული სამუშაოები ჩვენი ხაზოვანი ნაგებობის სიახლოვეს ჩატარდეს ხელით.

სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი.
ტელ: 11 00 00

აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ კი, აუცილებელია, მოხდეს ხელახალი შეთანხმება, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

დანართი: 1) სიტუაციური ნახაზი;
2) ტექნიკური პირობა;
3) შეთანხმებული გეგმა.

პატივისცემით,

პროექტირების სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გელიაშვილი



პირობითი ნიშნები

- არსებული საკომუნიკაციო არხი
- არსებული სატელეკომუნიკაციო ჭა

მისამართი

ქ. თბილისი,მერაბ ალექსიძის II შესახვევი №3, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №1

საპრ. უფროსი		ნ. გელიაშვილი
შემდგინა		ა. ლეკიშვილი

ახალი ქსელები

შ.პ.ს „ახალი ქსელები"
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ: 11 00 00

მუშა ნახაზი	დაკვათა	ფურცლები	გვ.
		1	1
საკომუნიკაციო ქსელის სქემა	თარიღი 05.05.25	მასშტაბი 1:1,000	

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0182 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

ახალი ქსელები

ტექნიკური პირობა

შპს „ახალი ქსელები“ თანახმაა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდეს სამუშაოები, სამშენებლო ნორმებისა და ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

1. საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე ტექნიკური პირობის მიმღებმა ან/და მშენებელმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს შპს „ახალ ქსელებს“, რათა გამოყოს წარმომადგენელი (ზედამხედველი), რომელიც გადაკვეთის სამუშაოებს გაუწევს ზედამხედველობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს.
2. სამუშაოების დაწყებამდე შპს „ახალი ქსელები“-ს წარმომადგენელთან ერთად უნდა დაიგეგმოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა და შეფასდეს მოსალოდნელი რისკები. მშენებლობის პროცესში, აუცილებელია შპს „ახალი ქსელები“-ს წარმომადგენლის რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოთა უსაფრთხოდ შესრულებას და ხაზოვანი ნაგებობის დაცვას, დაზიანებისგან.
3. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს „ახალი ქსელები“-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ-0.5 მეტრის სიგანის ზოლი.
4. დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შპს „ახალი ქსელები“-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ-0.5 მეტრის სიგანის ზოლი.
5. შპს „ახალი ქსელები“-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ საპროექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ-0.15 მეტრის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.
6. შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის აღმოჩენის შემთხვევაში 2 (ორი) მეტრის რადიუსში მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ ხელით.
7. შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ-0.2 მეტრის დაშორებით.
8. წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შპს „ახალი ქსელები“-სათვის ანალოგიური ნებართვის გაცემა, მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
9. საპროექტო შენობა ნაგებობის და შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ-1 მეტრის სიგრძისა.

42,ანა პოლიტკოვსკაიას ქ. საქართველო,0182 თბილისი
შპს ახალი ქსელები ს/კ 211326732
11 00 00
info@ak.ge

10. მიწის სამუშაოების დაწყების დრო შპს „ახალ ქსელებს“ უნდა ეცნობოს წინასწარ, არანაკლებ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე (საკ.ტელ: 11 00 00) მომავალში შესრულებული სამუშაოების შედეგად გამოწვეულ ტექნიკურ პრობლემებზე პასუხისმგებელია აღნიშნული ტექნიკური პირობის მიმღები ორგანიზაცია.
11. აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 6 (ექვსი) თვის ვადით, შემდეგ კი, აუცილებელია, მოხდეს ხელახალი შეთანხმება, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

დამატებითი პირობები:

იმ შემთხვევაში, თუ შპს „ახალი ქსელები“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები და აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შპს „ახალ ქსელებ“-ს ელექტრონული ფოსტით (info@ak.ge) ან მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით. (საკ. ტელ: 11 00 00).

აღნიშნული ტექნიკური პირობის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს „ახალი ქსელები“ იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმდინარე სამშაოების შეჩერება და შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი.



ნახ. 1.1



ნახ. 1.3



ნახ. 1.2



ნახ. 1.4

საპროექტო ტერიტორიის
გენერალური გეგმა
მ 1:400

საზაფხულო სამკითხველო, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო სივრცე

ჭიშკარი №1

ჭიშკარი №4

ღობე

ჭიშკარი №3

ჭიშკარი №2

არსებული შენობა

საპროექტო ტერიტორიის ყოფილი ხაზი,
საკადასტრო კოდით 01.10.13.040.136

საერთო სამუშაო სივრცე, ადგილი შეკრებებისთვის,
პრეზენტაციებისთვის

ღობე

დასასვენებელი სივრცე-ბაღი

ხეივანი

არსებული შენობა

საწყობი

ბავშვთა და მოზარდთა სივრცე

ჭიშკარი №3

სათბური

ბოსტანი

ბიბლიოთეკის თანამშრომელტა სივრცე

ღობე

არსებული შენობა

საბავშვო სივრცე

კაფეტერია

ღობე

მეცნიერთა და
გამომგონებელთა ბაღი

ჭიშკარი №3

ღობე

ჭიშკარი №3

შეთანხმებულია
შპს "ახალ ქსელებთან"
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი წარმომადგენელი
ახალი ქსელები
სარეგისტრაციო № 64
ტექ. სამსახური:
თარიღი: 06.05.2025
ვის: ა.პოლიტკოვსკაიას №42 ტელ: 11 00 00

დამკვეთი	მომზადებული
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს ინჟინერიუსი

ინჟინერიუსი
ENGINEERIUS

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეზოს არსებითი გაუმჯობესება

საპროექტო ტერიტორიის (ს.კ.:01.10.13.040.136) კეთლმოწყობის გენერალური გეგმა	პ-1
	2025



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ბიორგი ზაქაშვილი

თარიღი: 5/2/2025

მაგთიკომის საჰაერო კომუნიკაცია

მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია

შპს "მაგთიკომი"
№ ED-25/05/07-009
07-05-2025 წ

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,ინჟინერიუსი''-ს დირექტორს
ბატონ ასლან ჯანჯღავას

ბატონო ასლან,

თქვენი 2025 წლის 1 მაისის N: 0105-25-5 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებულ არეალზე (თბილისი, 01.10.13.040.136) გადის შპს „მაგთიკომი“-ს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ არ არის წინააღმდეგი შეასრულოთ დაგეგმილი სამუშაოები.

- სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას მექანიზმებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შპს ,,მაგთიკომი’-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით.
- კომუნიკაციის 1 მეტრზე ნაკლები მანძილის შემთხვევაში, სამუშაოები შესრულდეს არამექანიზირებული მეთოდით, ხელით.

იმ შემთხვევაში თუ ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ ხუთი სამუშაო დღით ადრე. ტ 595 10 89 10: 599 172727

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი.

შემსრულებელი: ზვიად ოქროპირიძე. ტ: 500 501 501

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ./ Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge

დოკუმენტის ნომერი: 250506009

Classification: MAGTICOM Confidential


საპროექტო ტერიტორიის
გენერალური გეგმა
მ 1:400
საპროექტო ტერიტორიის ზღუდის ხაზი,
საკადასტრო კოდით 01.10.13.040.136
საზაფხულო სამკითხველო, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო სივრცე
პუშკარი №1
პუშკარი №2
პუშკარი №3
პუშკარი №4
არსებული შენობა
საპირფარეშო
საერთო სამუშაო სივრცე, აღჭურვილი შეკრებებისთვის,
პრეზენტაციებისთვის
ღობე
დასასვენებელი სივრცე-ბაღი
ხიდვანი
არსებული შენობა
საწყობი
ბაქნია და მოზაარდთა სივრცე
პუშკარი №3
სათბური
ბოსტანი
ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სივრცე
კაფეტერია
ღობე
პუშკარი №3
ღობე
არსებული შენობა
საბავშვო სივრცე
მეცნიერთა და
გამოქვაბულების ბაღი
პუშკარი №3
შეთანხმებულია
შპს „მაგთიკომში"
სამუშაოების დაწყების 06
გამოიძახეთ ჩვენი
წარმომადგენელი. ტელ:
პროექ. ტექ. საქსახური
2024 წელი
ბოლიტკოვსკაიას ქ. N: 7
Politkovskaya St. N: 7
11001
MAGTICOM
ინჟინერინგი
ENGINEERING
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეზოს არსებითი გაუმჯობესება
საპროექტო ტერიტორიის (ს.კ.01.10.13.040.136)
კეთილმოწყობის გენერალური გეგმა
ა-1
2025

№ 0625-1083815 D 13. 05. 2025

შპს „ინჟინერიუსი“
ელ-ფოსტა: engineerius.info@gmail.com
ტელეფონი: 557 73 64 87

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN25-1081282; დათარიღებული 01/05/2025წ. მერაბ ალექსიძის II შესახვევი, N3 / მერაბ ალექსიძის II შესახვევი, N1-ში (ს/კ 01.10.13.040.136) ეზოს გაუმჯობესების საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ პროექტის შესათანხმებლად საჭიროა „კომპანიაში“ წარმოადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განსაზღვრული და დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი დაშორება საპროექტო ობიექტიდან „კომპანიის“ ბალანსზე რიცხულ ქსელებამდე (იხ. დანართი), რომლის წარმოდგენის შემდეგ მოხდება საკითხის განხილვა.

დანართი: სიტუაციური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ივანე გაბიტაშვილი

წყალსადენის ქსელების დირექტორის მოადგილე/
საოპერაციო ცენტრების დეპარტამენტის უფროსი

მ. ლოლაძე
293 11 11 (51 13)

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

სიტუაციური ნახაზი



მასშტაბი : 1:1,000

0 5 10 20 30 40 metri

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისძვეშა კომუნიკაციები

წყალმომარაგების გვირაბი

წყალმომარაგების მილი

წყალარინების ქსელი

5/6/2025

GIS სამსახური
ქ. გიგლემიანი
"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვისის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01251223277**
თარიღი: **02/05/2025**

ადრესატი: შპს ინვირროუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 436037156
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ფ. ბაქრაძის ქ. #6

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთს (ს/კ:01.10.13.040.136) კვეთს გარე განათების მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი. აქედან გამომდინარე შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, თუ უზრუნველყოფილი იქნება თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დაცული იქნება დაცვის ზონები შენობა/ნაგებობასა და ელ.სადენს შორის (დასაშვები მანძილი შენობა/ ნაგებობების, ხაზობრივ ნაგებობასთან მიმართებაში უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გარე განათების ქსელის გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს შ.პ.ს."თბილსერვის ჯგუფთან" და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან. დანართის სახით წარმოგიდგენთ შეთანხმებულ გენ გეგმას და აერსებული გარე განათების ხაზობრივი ნაგებობის სქემატურ ნახაზს.

დანართი: 2 ფურცელი.

ზურაბ ბერიაშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე
(გარე განათების დარგში) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





№ GG26-1277736 D 11-09-2026

შპს "ინჟინერიუსი"-ს (ს/ნ:436037156)
დირექტორს ასლან ჯანჯღავას (პ/ნ:31001007693)
მობ: 557736487
Email: engineerius.info@gmail.com

ასლი: სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს
მის: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში - **„კომპანია")** განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში" რეგისტრაციის ნომერი:IN26-1264973, თარიღი 8/11/2026, შემდგომში **„განცხადება"**), რომლითაც მოთხოვნილია 01.10.13.040.136 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (შემდგომში - **„მიწის ნაკვეთი"**) ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე თანხმობის გაცემა და გენ-გეგმის შეთანხმება, ვინაიდან, „კომპანია" წარმოადგენს „მიწის ნაკვეთზე" და მიმდებარედ განლაგებული (გამავალი) საინჟინრო ქსელების მესაკუთრეს/მფლობელს.

წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამ წერილში მოცემული ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობასთან „კომპანიის" კუთვნილი საინჟინრო ქსელებიდან დადგენილი მინიმალური დაშორებები დაცულია. შესაბამისად, „კომპანია", როგორც შესაბამისი საინჟინრო ქსელების მესაკუთრე/მფლობელი, თანხმობას აცხადებს „მიწის ნაკვეთზე" სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, წინამდებარე წერილსა და თანდართულ ცხრილში განსაზღვრული პირობების დაცვით.

ამასთან, განგიმარტავთ, რომ:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდება, რომ შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე დატანილი „კომპანიის“ კუთვნილი საინჟინრო ქსელები სამშენებლო მოედანზე ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს გადის განსხვავებული ტრაექტორიით და აღნიშნული ტრაექტორიის გათვალისწინებით არ არის დაცული წინამდებარე წერილის ცხრილში განსაზღვრული მინიმალური დაშორებები, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეაჩეროთ სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ აცნობოთ „კომპანიას“.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას სამშენებლო მოედანზე ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სიახლოვეს გამოვლინდება სასმელი წყლისა ან/და წყალარინების ისეთი მილსადენი, რომელიც არ არის ასახული შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე და რომლის არსებობის შესახებ „კომპანიას“ ინფორმაცია არ გააჩნია, ხოლო აღნიშნული მილსადენი მდებარეობს წინამდებარე წერილის ცხრილში განსაზღვრულ მინიმალურ დაშორებებზე ნაკლებ მანძილზე, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეაჩეროთ სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნულის შესახებ აცნობოთ „კომპანიას“.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სამუშაოების გაგრძელება დაუშვებელია „კომპანიის“ მიერ შესაბამისი ინსტრუქციებისა და წერილობითი თანხმობის გაცემამდე. საინჟინრო ქსელების დაცვის, გადატანის, რეკონსტრუქციის, მოწყობის ან/და დადგენილი მინიმალური დაშორებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ღონისძიება და შესაბამისი ხარჯი სრულად დაგეკისრებათ თქვენ და დაფინანსდება თქვენი მხრიდან.

ცხრილი

საინჟინრო ქსელი	დაშორება (ჰორიზონტალური მანძილი) საპროექტო შენობასა **(ასაშენებელი შენობის გარე კედლის/საძირკვლის კიდიდან)** და საინჟინრო ქსელებს შორის **(მილსადენის გარე კედლამდე (გარსამდე))**. (მეტრი)	
	შენობა-ნაგებობების საძირკველი	ღობე
სასმელი წყალი და წნევიანი წყალარინება	5	3
თვითდენითი წყალარინება	3	1.5
სატუმბო სადგური	15	15

რეზერვუარი	30	30

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გივი ნადირაძე
ტექნიკური და საოპერაციო მიმართულების დირექტორი

საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა წყალსადენი მილებიდან მანძილების ჩვენებით

მ 1:500

პირობითი აღნიშვნები

- მილი კანალიზაცია
- სასმელი წყლის მილი
- ბილიკი ბუნებრივი ქვის საფარით
- ღორღის საფარი
- ბაქანი კომპოზიტური დეკის საფარით
- გაზონი
- მულჩის საფარი
- არსებული ღობე
- საპროექტო ღობე

შენიშვნა:
შეთანხმებას ვითხოვთ მხოლოდ საპროექტო ნაგებობებზე და არა არსებულებზე.



			დამკვეთი: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
			შემსრულებელი: შპს ინჟინერიუსი / ENGINEERIUS
შეადგინა	ა.ჯანჯღავა		სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეზოს არსებითი გაუმჯობესება
შეამოწმა	ლ.მელქაძე		
			საპროექტო ტერიტორიის (ს.კ.:01.10.13.040.136) კეთილმოწყობის გენერალური გეგმა — კ-1 — 2026